



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ქ.ოზურგეთი, კოსტავას ქ.№1

15 მაისი 2012 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №79

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ინდივიდუალური მეწარმე გონა ჩიტაიშვილს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 33-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“, „პ.ბ“ და „პ.გ“ ქვეპუნქტების, 43-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და „საქართველოს სამოქალაქო კოდექსი“-ს V-ე თავის შესაბამისად:

გ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. დაკმაყოფილდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის მოთხოვნა (5.03.2012წ.№300წერილი) და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასა და ინდივიდუალური მეწარმე გონა ჩიტაიშვილს შორის გაფორმებული იჯარის ხელშეკრულების მოქმედება (ვადაზე ადრე) შეწყდეს ხელშეკრულების მე-9 მუხლის 9.1 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე (საიჯარო ქირის გადაუხდელობის გამო).

2. დაევალოს ინდივიდუალურ მეწარმე გონა ჩიტაიშვილს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის წინაშე არსებული საიჯარო ქირის დავალიანება გადაიხადოს ბრძანების გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი სიორიძის ქ.№14).

4. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე:

ალეკო მამეშვილი